LDA GEORGIA

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

2021-2022 წლის ანგარიში

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

www.idageorgia.ge

ძვირფასო კოლეგებო!

მსურს წარმოგიდგინოთ 2021–2022 წლის ანგარიში, სადაც შევეცადეთ გაგვეერთიანებინა ყველა ის პროექტი და აქტივობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში განახორციელა ორგანიზაციამ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

მიუხედავად, ჩვენს სექტორში არსებული გამოწვევებისა, ორგანიზაცია ცდილობდა სტაბილურად გაეგრძელებინა მუშაობა, ეზრუნა განვითარებაზე და დასახული სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე.

LDA საქართველომ გრძელვადიანი სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრა თვითმმართველობებში ინკლუზიური პოლიტიკის განვითარება; მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების განვითარება; სოციალური სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდა; ადგილობრივ საჯარო მოხელეთა გადამზადება; რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირება. ასევე საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება; ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2021–2022 წლების გამოწვევების კვალდაკვალ ორგანიზაციას ჰქონდა წარმატებებიც. დაინერგა მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა უკუკავშირის ელექტრონული პლატფორმა, შემუშავდა საპილოტედ საბიუჯეტო პროგრამები, ჩატარდა მოქალაქეთა საჭიროებების კვლევები. ორგანიზაცია გახდა ღია მმართველობის პარტნიორობის– OGP წევრი, რომლის ეგიდითაც ორგანიზაცია უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დანერგვას.

LDA საქართველო კვლავ შეირჩა იმერეთის რეგიონულ ჰაბად, გახდა, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის, მეოთხე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი ორგანიზაცია.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 230 შეხვედრა, მოვიცავით 3365 ბენეფიციარი, ვიმუშავეთ, დასავლეთ საქართველოს რეგიონების 28 მუნიციპალიტეტში, შევქმენით სმს პლატფორმა და ინოფრმაციის პროაქტიულად მიწოდების მიზნით 1186 შეტყობინება გაიგზავნა 171 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ცხელი ხაზის სერვისის საშუალებით, გაიცა 96 კონსულტაცია, რომელთა დიდი ნაწილი ეხებოდა ორგანიზაციის სტრუქტურული გაძლიერებისა და საწესდებო ცვლილებების განხორციელების საკითხებს. უფრო ვრცლად, გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, ანგარიშში გაეცნობით. ჩამოთვლილი სტრატეგიული მიზნების განხორციელება, შეუძლებელი იქნებოდა LDA საქართველოს გუნდის გარეშე, მადლობა მინდა გადავუხადო მათ თავდაუზოგავი შრომისთვის. ასევე, მადლობა ჩვენს პარტნიორ –დონორ ორგანიზაციებს ნდობისთვის და მხარდაჭერისთვის.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს
აღმასრულებელი დირექტორი
ნინო ხუხუა

შესაძლებლობების განვითარება ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, აქტიური მოქალაქეობისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა
იმერეთის რეგიონული ჰაბი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგანეტო (LDA) საქართველოს მიერ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შეფასებისას აუცილებელია შევეხოთ მის სიძლიერესა და განვითარების სტაბილურობას.

საქართველოში წარმოდგენილი სამოქალაქო საზოგადოება არ არის უნაკლო და ბევრი ქმედითი ნაბიჯია გადასადგმელი მეტად გაძლიერებისათვის. მიუხედავად საჯარო და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის კარგი პრეცედენტებისა, დღემდე რჩება სამოქალაქო სექტორისადმი სათანადო ნდობის საკითხი ეჭვქვეშ. ერთეულ შემთხვევებში თავად სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც მნიშვნელოვან წვლილს თამაშობენ მათი სიძლიერის განსაზღვრაში.

რეგიონების მიხედვით სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სხვადასხვა დონე გვაქვს, რასაც განაპირობებს რეგიონების დემოგრაფიული მდგომარეობა, ურბანული ცხოვრება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალი. რეგიონულ დონეზე ორგანიზაციათა განვითარების სხვადასხვა დონეს განსაზღვრავს ეკონომიკური მდგომარეობაც, რომელთან მჭიდროდ არის კავშირში ბევრი ფაქტორი (სკოლა, მასწავლებელი მედია და ა.შ). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ის ლანდშაფტი, რომელიც დღეს საქართველოშია სახეზე.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგნენ COVID პანდემიის პირობებში.

განსაკუთრებით COVID-19-ის კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა სამოქალაქო სექტორის მანამდე არსებული რამდენიმე ხანგრძლივი ხარვეზი ფინანსური შესაძლებლობებისა და ფინანსური მდგრადობის სფეროში.

პანდემიამ ნათლად დაანახა სამოქალაქო სექტორს, თუ რამდენად აუცილებელია კრიზისების მართვის გეგმის შემუშავება, კარგი მენეჯმენტის გეგმის შექმნა და კრიზისულ სიტუაციებში დროული და ეტაპობრივი მოქმედება. მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსების დივერსიფიკაცია, გააჩნდეთ დაფინანსების ალტერნატიული წყაროები და კრიზისულ სიტუაციებში მარტივად მოახდინონ საქმიანობის ადაპტირება. პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო წინ წამოიწია სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო უწყებებს შორის უფრო მეტი და ეფექტური კოორდინაციის საკითხი.

აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც COVID 19-ის პანდემიის მსგავს კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფოს და საზოგადოებას თავიდან აარიდებს რიგ ხარვეზებს და დროულად უპასუხებს გამოწვევებს:

• პანდემიამ ნათლად დაანახა სამოქალაქო სექტორს თუ რამდენად აუცილებელია კრიზისების მართვის გეგმის შემუშავება, კარგი მენეჯმენტის გეგმის შექმნა და კრიზისულ სიტუაციებში დროული და ეტაპობრივი მოქმედება. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ გრძელვადიანი ხედვები, საჭიროა წინასწარ განისაზღვროს პროექტების ადმინისტრაციულ და ორგანიზაციის განვითარებაზე მიმართული ხარჯები. ასევე ტექნიკური უნარებით აღჭურვა და ამ ცოდნის მოწყვლადი ჯგუფებისათვის გადაცემა.

• მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები გახდნენ ფინანსურად დამოუკიდებელნი, გააჩნდეთ დაფინანსების ალტერნატიული წყაროები და კრიზისულ სიტუაციებში მარტივად მოახდინონ საქმიანობის ადაპტირება. ასევე ფინანსების მობილიზება, რათა მცირე შეფერხებამაც არ შეუქმნას ორგანიზაციის არსებობასა და მდგრადობას საფრთხე. ამისათვის კი საჭიროა შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების შეძენა, ორგანიზაციის თანამშრომლების სათანადო გადამზადება.

• კრიზისული სიტუაციებიდან თავის დასაღწევად, ისევე როგორც ჩვეულ რეჟიმში მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერის მიღება, ამიტომაც რეკომენდაციაა საგრანტო კონკურსების გამოცხადების დროს ორიენტირებას ნუ მოახდენენ მხოლოდ კონკრეტულ მიმართულებებზე და განვითარების შესაძლებლობა მიეცეთ რეგიონულ დონეზე მომუშავე ვიწრო პროფილის მქონე მცირე ორგანიზაციებს. განსაკუთრებით ახლადწარმოქმნილ ორგანიზაციებს მიეცეთ დაფინანსების მიღების შესაძლებლობა, რადგან სხვაგვარად წარმოუდგენელია მათი განვითარება და სამოქალაქო სექტორში სტაბილურად არსებობა.

• პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო წინ წამოიწია სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო უწყებებს შორის უფრო მეტი და ეფექტური კოორდინაციის საკითხი, ასევე, პროაქტიული კომუნიკაციის საჭიროება.

• „სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყველა კრიზისში უნდა დაინახონ საჭიროება, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს დაანახონ ეს საჭიროება და კრიზისი აქციონ შესაძლებლობად “.

მოგეხსენებათ, 2017-2020 წლები, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო შერჩეული იქნა, როგორც რეგიონული ჰაბი იმერეთის მხარეში, რომლის ამოცანა გახლდათ სამოქალაქო საზოგადოების უკეთ მობილიზება და გაძლიერება. სამოქალაქო საზოგადოების წევრების გავლენის გაზრდა ადგილობრივ დონეზე, ახალი კონტაქტების დამყარება, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლების კვალიფიკაციის და შესაძლებლობების ზრდა; შედეგების გაუმჯობესება ერთობლივი საქმიანობის განხორციელების გზით; სამოქალაქო საზოგადოების რესურსების და შესაძლებლობების ზრდა; სხვადასხვა აქტივობების ეფექტურად დაგეგმვა და ორგანიზება. რეგიონულმა ჰაბმა, წარმატებით განახორციელა პროექტის პირველი ფაზა, რისი დასტურიც არის სამოქალაქო საზოგადობის ორგანიზაციების შეფასებები, ჰაბის საქმიანობასთან დაიკავშირებით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლების შეფასებები:

„პროექტი კარგი შესაძლებლობაა ჩვენი ორგანიზაციისათვის. ფორუმები და ორგანიზაციული განვითარების კუთხით მოწყობილი ტრენინგები ძალიან დიდი მხარდაჭერა იყო ჩვენთვის.“

ზაზა გოჩელაშვილი -ა(ა)იპ ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი

„ჩამოყალიბდა იმერეთის რეგიონული ჰაბი, რომლის ფარგლებში მოგვეცა შესაძლებლობა ამ რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, საკუთარი თავის პოპულარიზაციის“

მაკა ხეცურიანი -ა(ა)იპ ასოციაცია ქალები რეგიონების განვითარებისათვის

„პროექტმა მომცა შესაძლებლობა სხვადასხვა დონეზე, არაერთხელ გამომეყენებინა მათი ტრიბუნა.“

ელისო ჯიქიძე - აქტიური მოქალაქე

„ამ ორგანიზაციამ შექმნა ერთგვარი პლატფორმა ახალი იდეების გენერირებისათვის. ჩვენ იმერეთში მოქმედი სამოქალაქო სექტორი ძალიან დაგვაახლოვა ერთმანეთს, დაგვამეგობრა.“

ელისო ჯიქია-ა(ა)იპ ბედნიერი ქალები

„რეგიონული ჰაბი ძალიან კარგ საქმეს აკეთებს არა მხოლოდ სამოქალაქო სექტორისთვის, არამედ ბიზნესისთვის, საჯარო მოხელეებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანი იყო არაერთი ფორუმი, რომელიც მათ მიერ იყო განხორციელებული.“

მარიკა ვაჭარაძე - ა(ა)იპ რეგიონული ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“

“ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობები იყო ის სასწავლო მოდულები, აქტივობები, სადაც ჩვენ უშუალოდ გავდიოდით სწავლებას და ვღებულობდით კონსულტაციას და როგორც ორგანიზაცია ვიზრდებოდით.”

ბაჩანა ბასილაია- ა(ა)იპ იგპ-თა ინტეგრაციისა და ხელშეწყობის ცენტრი

“პროექტის ფარგლებში განვითარდა და დამყარდა ურთიერთობა ჩვენ მუნიციპალიტეტთან.”

ნანა ფერაძე- ა(ა)იპ კავშირი „ორიონი“

“მოხდა არაერთი შეხვედრა, დაუკავშირდა ერთმანეთს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. რეგიონული ჰაბის პროექტი სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სამოქალაქო საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.”

სოფიო კირთაძე- ა(ა)იპ რეგიონული განვითარების რესურს ცენტრი

“ორგანიზაცია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან აქტივობებს ახორციელებს იმერეთის რეგიონში. ქუთაისში ჩატარდა ფორუმი, სადაც საშუალება ჰქონდათ არასამთავრობო ორგანიზაციებს პირდაპირ და უშალოდ შეხვედროდნენ დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს.”

ლეილა აშორდია- ა(ა)იპ ქალთა ასოციაცია, ვაკეთოთ ერთად.

“საინტერესო იყო პროექტი, რომელშიც ჩართული იყო თერჯოლის მუნიპიტალიტეტის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ვფიქრობ, რომ პროექტმა თავისი მიზანი ეფექტიანად და ეფექტურად შეასრულა.”

რუსუდან კოვზირიძე- აქტიური მოქალაქე

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA) საქართველო 2021–2024 წლებში კვლავ აგრძელებს, რეგიონული ჰაბის ფარგლებში აქტივობების განხორციელებას, დასახული მიზნის– იმერეთის რეგიონის დონეზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, რაც მიღწეული იქნება CSO’s/CBO’s მდგრადობის შენარჩუნების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდის უზრუნველყოფის გზით. იმერეთის რეგიონული ჰაბის – ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსა (LDA) და განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის (EDEC) ორგანიზებით ჩატარდა სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ფორუმი. ფორუმის მიზანი იყო მოხალისეობის კულტურის პოპულარიზაცია, პოტენციური დონორების მოზიდვა და იმერეთის მხარეში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება. ფორუმს დაესწრნენ იმერეთის მხარის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდები, დონორი ორგანიზაციების, თვითმმართველობების, ბიზნეს სექტორისა და მედიის წარმომადგენლები. ფორუმი სამ ნაწილად ჩატარდა და მოიცავდა დისკუსიას სამოქალაქო საზოგადოების წინაშე არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ; ჩატარდა „World Cafe“ ფორმატში დონორებსა და ორგანიზაციებს შორის შეხვედრა; ფორუმის მესამე ნაწილი დაეთმო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის წარდგენა/გამოფენას. ფორუმს, იმერეთის მხარიდან დაესწრო 300–ზე მეტი ადამიანი.

იმერეთის მხარის, სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ფორუმი

იმერეთის რეგიონულმა ჰაბმა, პროექტის ფარგლებში შექმნა SMS პლატფორმა, რომლის მიზანია რეგიონის CSO's და CBO's წარმომადგენლებისთვის, ინფორმაციის მიწოდება, რეგიონულ, თუ ეროვნულ დონეზე დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. პლატფორმა ჩაშენებულია ორგანიზაციის ვებ გვერდზე. აქტივობით მხარდაჭერილია სექტორალური თანამშრომლობა და სხვადასხვა ქსელში ჩართულობის შესაძლებლობა.

იმერეთის რეგიონულმა ჰაბმა პროექტის ფარგლებში მოახდინა ახალგაზრდული კლუბის ფორმირება, რომელთაც ჩაუტარდათ სემინარები სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობასა და როლზე. სემინარების მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების განწყობების შეცვლა სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების მიმართ; ახალგაზრდებში მოხალისეობის პოპულარიზაცია და მათი ინტერესის გაზრდა სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ. აქტივობის შედეგად გაიზარდა საზოგადოებრივი განწყობები სამოქალაქო საზოგადოების მიმართ, ასევე სამოქალაქო სექტორისადმი სტუდენტების და ზოგადად ახალგაზრდობის ინტერესი.

ახალგაზრდული კლუბი

იმერეთის რეგიონულმა ჰაბმა პროექტის ფარგლებში ჩაატარა საკონსულტაციო შეხვედრები. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა, იმერეთის მხარეში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის კონსულტაციის გაცემა ორგანიზაციის მართვის საკითხებზე მათივე გაძლიერების მიზნით; ინფორმაციის მიწოდება იმერეთის რეგიონში გამოცხადებული საგრანტო კონკურსებისა და მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმის ამოქმედების შესახებ. ჩატარებული შეხვედრების შედეგად უზრუნველყოფილი იყო ერთის მხრივ იმერეთის რეგიონული ჰაბის მიერ მუნიციპალიტეტებში მოქმედი ორგანიზციების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღება და მეორეს მხრივ შესაბამისი კონსულტაციების გაცემა. იმერეთის რეგიონული ჰაბის მიერ ჩატარებულია შეხვედრები მუნიციპალიტეტებში არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე პასუხისმეგებელ პირებთან. შეხვედრებზე ძირითადი აქცენტი კეთდებოდა მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საჭიროებებზე. აქტივობის მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების როლის ზრდის ხელშეწყობა საჯარო პოლიტიკაში. აქტივობის შედეგია ის, რომ მუნიციპალიტეტებმა უფრო მეტად გაათვიცნობიერეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოზიტიური როლი საჯარო პოლიტიკაში, რისი ნათელი გამოხატულებაც გახლდათ მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობა რეგიონული ჰაბის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებშიც.



ქ.წყალტუბო - საკონსულტაციო შეხვედრა

იმერეთის რეგიონულმა ჰაბმა პროექტის ფარგლებში ჩაატარა საჯარო შეხვედრა და გასცა საჯარო კონსულტაციები რეგიონის დონეზე. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა რეგიონის დონეზე შესაბამისი აქტორების ჩართულობით განხილულიყო მნიშვნელოვანი საკითხები. ჩატარებულ შეხვედრაზე გაიმართა მსჯელობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების შესაძლებლობებსა და ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე. შეხვედრამ ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას საჯარო პოლიტიკის დიალოგში.

ქ.ამბროლაური - სასწავლო ვიზიტი

ქ. ქუთაისი- საჯარო კონსულტაცია

იმერეთის რეგიონულმა ჰაბმა პროექტის ფარგლებში მოაწყო სასწავლო ვიზიტები CSO’s/CBO’s წარმომადგენელთათვის ზუგდიდის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის და აჭარის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული აქტივობის მიზანია ერთის მხრივ გამოცდილების მიღება და წარმატებული მაგალითების გაზიარება, ასევე გაზიარდება თანამშრომლობის შესაძლებლობა მოსაზღვრე რეგიონებში არსებულ CSO’s/CBO’s შორის. სულ ჩატარებულია ექვსი შეხვედრა.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები CSO’s/CBO’s წარმომადგენელთათვის, რომელთა გადამზადებაც მოხდა პროექტის ფინანსური მენეჯმენტი/მართვისა და ადვოკატირების თემაზე. პროექტის ფარგლებში სულ ჩატარებულია ხუთი ტრენინგი, რომელზედაც გადამზადდა 50-მდე მონაწილე.

ტრენინგი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის

პროექტის ფარგლებში შერჩეულია ოთხი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელთანაც კონსორციუმის წევრ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება ინტენსიური მუშაობა, სტრუქტურულ დახვეწაზე და შიდა მართვის დოკუმენტების შემუშავებაზე. რეგიონის მასშტაბით შეიქმნა საუკეთესო პრეცენდენტი, ახლადშექმნილი ორგანიზაციების სტრუქტურული განვითარების მიმართულებით.

ცხელი ხაზის სერვისის მოქმედებით შექმნილია ინფორმაციის პროაქტიულად მიღების დამატებითი მექანიზმი. რაც კარგი შესაძლებლობაა განსაკუთრებით, მაღალმთაინ მუნიციპალიტეტებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის. აღნიშნული მომსახურება, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევდა დისტანციურად მიეღო ინფორმაცია ერთის მხრივ, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ რეგისტრაციის სამართლებრივი პროცედურების ირგვლივ.

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი გადაწყვეტილების პროცესში ადგილობრივი დემოკრატიის საფუძველია ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობა, უფრო უშუალო დონეზე ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება არის ხელისუფლება ხალხისთვის და ხალხის მიერ.

ადგილობრივი თვითმართველობის რეფორმის უახლესი ტალღა 2014 წელს ახალი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით აღინიშნა, ის სხვა საკითხებთან ერთად მიზნად ისახავდა თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმების განსაზღვრას და არსებულის დახვეწას. ზოგადი სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფის მიუხედავად, მონაწილეობის მექანიზმები მუნიციპალიტეტებში არაერთგვაროვნად დაინერგა. კვლავ მცირეა იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც აქვთ ინფორმაცია მონაწილეობის მექანიზმების შესახებ. მიუხედავად ბევრი განხორციელებული პროექტისა, დღემდე დაბალია მოსახლეობის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ყოველივე ეს მიუთითებს რამდენიმე სერიოზული პრობლემის არსებობაზე, რომლის გადაჭრისკენაც იყო მიმართული წარმოდგენილი გრანტი.

გრანტის მიზანი გახლდათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა და ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. გრანტი მოიცავდა შემდეგ ამოცანებს:

- ადგილობრივი თვითმმართველობისადმი მოქალაქეთა მიმართვის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება;
- ქალების, ახალგაზრდების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საჭიროებების და პრიორიტეტების გამოვლენის, მათი გადაჭრის და ადვოკატირების მიზნით;
- დიალოგის და თანამშრომლობის გაძლიერება საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ადგილობრივ თვითმმართველობასა, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსა და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფებს შორის ეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების ინიცირება, მათ შორის პრობლემების ადვოკატირება.

გრანტმა მოიცვა იმერეთის მხარის თერთმეტი (11) მუნიციპალიტეტი, კერძოდ: ბაღდათი, სამტრედია, ვანი, ხონი, წყალტუბო, საჩხერე, ჭიათურა, თერჯოლა, ზესტაფონი, ხარაგაული, ტყიბული.

მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში – პრობლემების ადვოკატირება;

განხორციელდა სხვადასხვა შინაარსობრივი აქტივობები პროექტის მიზნის მისაღწევად. პირველ ეტაპზე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი იმერეთის მხარის

მუნიციპალიტეტების მერებთან და საკრებულოს თავმჯდომარეებთან.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. დისკუსიები მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტების საზოგადოების საჭიროებების/პრობლემების და COVID-19-ის შემდგომი გამოწვევების გარკვევას/დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას, მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკითხები, როგორიცაა: სოფლის

მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები, განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ-კულტურული აქტივობები,

სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, ინფორმირებულობა, Covid-19-ით გამოწვეული ახალი საჭიროებები.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ ჯგუფებად გამოიყო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები. ფოკუს ჯგუფების მეშვეობით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი თვისებრივი ინფორმაციის მიღება არსებული გამოწვევების შესახებ, მონაწილეთა შეხედულებების საფუძველზე. შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამები, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტების დოკუმენტი. თითოეული მუნიციპალიტეტისთვის შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი თანდართული რეკომენდაციებითა და საბიუჯეტო პროგრამებით.

დემოკრატიის განვითარება ქვეყანაში აქტიური მოქალაქეების არსებობასთან პირდაპირ კავშირშია. რაც უფრო მეტი მოქალაქე მონაწილეობს დემოკრატიულ პროცესებში, ქვეყნის მართვას ხელისუფლება გაზრდილი პასუხისმგებლობით ეკიდება. სწორედ ამ მიზნით, ფოკუს ჯგუფის წევრების ბაზაზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები მუნიციპალიტეტებში, რომლებმაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი გააერთიანა (სოციალურად დაუცველი, ქალები, მარტოხელა მშობელი, შშმ პირი, ახალგაზრდები და ა.შ.). ჯგუფის შექმნის მიზანი იყო შეგვექმნა ადგილობრივ დონეზე რესურსი,

მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმა

თვითმმართველობის დონეზე. გამოიკვეთა ჯგუფის ლიდერები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული გრანტის აქტივობებში.

მათთვის ჩატარდა ტრენინგები ადვოკატირების სპეციფიკის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე ადვოკატირების სპეციფიკას. ტრენინგზე განიხილეს ისეთი საკითხები როგორიცაა: აქტიური მოქალაქეობის პრინციპები; ადვოკაციის სახეები; ადვოკატირების ძირითადი ელემენტები; საადვოკაციო პრობლემის დადგენა, ადვოკატირების სპეციფიკა. აღნიშნულმა ტრენინგმა შესაძლებლობა მისცა საინიციატივო ჯგუფის წევრებს მიეღოთ ინფორმაცია მათთვის უცნობ თემებზე, რაც უკავშირდება ადვოკატირების სპეციფიკას. ტრენინგების სესიების შემდგომ, მიღებული ინფორმაციით მონაწილეებს შეუძლიათ წამოსწიონ კონკრეტული პრობლემა დღის წესრიგში და განახორციელონ გარკვეული ქმედებები, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოების კეთილდღეობისაკენ ადგილობრივი სერვისების გაუმჯობესების გზით.

თვითმმართველობის მოხელეთა ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდა და კომუნიკაციის გაუმჯობესება მოსახლეობასთან.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ეფექტური კომუნიკაცია აუცილებელია. იმისათვის, რომ მოქალაქეს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მიეწოდებინა საკუთარი მოსაზრებები აქტიურ და საჭირბოროტო საკითხებზე,ხარაგაულის, ბაღდათის, სამტრედიის, ვანის, ხონისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ვებ გვერდზე საპილოტედ დაინერგა მოქალაქეთა უკუკავშირის ონლაინ პლატფორმა.
პლატფორმის შექმნის მიზანია შეფასდეს მოქალაქეების მხრიდან მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სერვისები/პროგრამები. პირველ ეტაპზე საპილოტედ განხორციელდა სოციალური პროგრამების შეფასება.
აღნიშნული მუნიციპალიტეტების მოქალაქეებს, რომლებმაც ისარგებლეს მუნიციპალიტეტის კონკრეტული სოციალური პროგრამითა თუ სერვისით, შეუძლიათ ელექტრონულად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება გაწეული სერვისისა, თუ პროგრამის სარგებლიანობაზე. პლატფორმა ადგილობრივ მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას მოახდინონ მათ მუნიციპალიტეტებში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება. ამისათვის შემუშავდა უნივერსალური კითხვარი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ასახონ არსებული საჭიროება/პრობლემა და ამასთანავე მიუთითონ თავიანთი მოსაზრება/რეკომენდაცია აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზებთან დაკავშირებით. პლატფორმა შემუშავებულია ქართულ ენაზე, თანხვედრაშია მუნიციპალიტეტების არსებული ვებ-გვერდების დიზაინთან, ადაპტირებულია სმარტფონებისა და პლანშეტებისთვის. მიღებული პასუხების შემდეგ, სტატისტიკური ინფორმაციის მიღების მიზნით, პლატფორმა ავტომატურად აჯამებს ,,მოსანიშნი'' კითხვების, პასუხების პროცენტულ რაოდენობას და მათი ნახვის შესაძლებლობა ექნება ნებისმიერს სურვილის შემთხვევაში.
ორგანიზაციამ ითანამშრომლა სერვისების განვითარების სააგენტოსთან (MSDA) და დახმარება აღმოუჩინა წყალტუბოს, თერჯოლის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებს ელექტრონული პლატფორმის ,,შენი იდეა მერს'' სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადების ნაწილში.
მოქალაქის ერთგვარი მორალური ვალდებულებაა, მაქსიმალურად გამოიყენოს კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული შესაძლებლობები და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფოს, ან თუნდაც საკუთარი ქალაქის ან მუნიციპალიტეტის მართვაში. მოქალაქეთა გასააქტიურებლად, გრანტის ფარგლებში ორგანიზაციამ მიმართა იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების საკრებულოს ინიციატივით მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმის, პეტიციის წარდგენის უფლების მქონე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მინიმალური 1%-იანი ზღვარის შემცირებით (გონივრულ ფარგლებში), ვინაიდან პეტიციის წარდგენის პროცესში მოქალაქეთა უმეტესობა აწყდება კანონით განსაზღვრული რაოდენობის მობილიზაციის პრობლემას. აღნიშნული ინიციატივა დადებითად შეაფასა სამტრედიის, ბაღდათის, ხონის, წყალტუბოს, ჭიათურის და საჩხერის მუნიციპალიტეტებმა. შედეგად მოხდა რეგისტრირებულ

ამომრჩეველთა სტანდარტული 1%-იანი ზღვარის შემცირება 0,5%-მდე.
შესაბამისად, აღნიშნული მუნიციპალიტეტების ამომრჩევლებს შესაძლებლობა აქვთ უზრუნველყონ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 0.5%

რაოდენობის მობილიზება, ხელმოწერების შეგროვება და ერთობლივი პეტიციის წარდგენა. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათ მონაწილეობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია არ ხდება. ლაივსტრიმის დანერგვა კიდევ უფრო საჭირო გახდა COVID-19 -ის პანდემიის პერიოდში, როცა დაწესებული შეზღუდვების გამო მოქალაქეები ვერ ახერხებდნენ საკრებულოს სხდომაზე დასწრებას. გრანტის ფარგლებში შვიდ მუნიციპალიტეტში - ხარაგაული, საჩხერე, ბაღდათი, სამტრედია, ხონი, წყალტუბო, ტყიბული - დაინერგა საკრებულოს სხდომების პირდაპირი ეთერით ტრანსლირება. მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური სოციალური ქსელის ვებ გვერდზე წინასწარ განთავსდა საკრებულოს სხდომის ჩატარების დღის წესრიგი და თარიღი. რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ადგილზე ვერ ახერხებდა სხდომაზე დასწრებას პანდემიისა თუ სხვა მიზეზების გამო, ლაივსტრიმის საშუალებით შეეძლოთ საკრებულოს სხდომის ყურება და განსახილველი საკითხების ირგვლივ გამოთქმული პოზიციებისა და მიღებული გადაწყვეტილებების მოსმენა.
ჩატარდა მრგვალი მაგიდის ფორმატის, როგორც პირისპირ ასევე ონლაინ შეხვედრები პანდემიიდან გამომდინარე. შეხვედრებს ესწრებოდნენ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე საინიციატივო ჯგუფის წევრები.
შეხვედრებზე საპროექტო გუნდისა და საინიციატივო ჯგუფის მეშვეობით მოხდა ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების წარდგენა მუნიციპალიტეტებისთვის. დამსწრე საზოგადოებამ თავად შეაფასა არსებული პრობლემები და იმსჯელა მათ მოგვარების ეფექტურ გზებზე.

ჩატარდა თემატური შეხვედრები, სადაც მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის, სამოქალაქო მრჩეველთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრებს მიეწოდათ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, გამოკვეთილი პრობლემები და შემუშავებული რეკომენდაციები.

გამომდინარე იქიდან, რომ აუცილებელია მერის სათათბირო ორგანო პასუხისმგებლობით ასრულებდეს თავის ფუნქციას, კერძოდ განიხილოს მუნიციპალიტეტის პროგრამები და სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დოკუმენტები, წარმოადგენდეს შუამავალ რგოლს თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის. ამ მიზნით, საპროექტო გუნდმა აქტიურად იმუშავა მუნიციპალიტეტების მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან. მათთვის ჩატარდა ტრენინგი საბჭოს ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. ტრენინგზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქცია-ვალდებულებები; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების, სხდომის ოქმის, დღის წესრიგის ნიმუშები. ტრენინგების შედეგად საბჭოს წევრები გაერკვნენ თავიანთ მოვალეობებში.

მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულნი არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს პირველი ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული

მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. სამწუხაროდ, კანონი არ განსაზღვრავს ,,საჯარო განხილვის'' დეფინიციას, რაც უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული ჩართულობის მექანიზმის არასწორად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. გრანტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობამ უზრუნველყო საჯარო განხილვების კარგი პრაქტიკის დანერგვა, რამაც ერთის მხრივ გაზარდა მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულება.

გაიმართა რეგიონალური კონფერენცია მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გრანტის დონორმა ორგანიზაციებმა, მოწვეულმა მომხსენებლებმა, იმერეთის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის და გრანტის ფარგლებში შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრებმა. რეგიონალური კონფერენცია მიზნად ისახავდა საუკეთესო პრაქტიკის და არსებული გამოწვევების გაზიარებას თითოეული ჩართულობის მექანიზმის შესახებ იმერეთის მხარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მონაწილეობით, ასევე კონფერენციის გარკვეული ნაწილი დაეთმო განხორციელებული გრანტის შედეგებისა და მიღწევების წარდგენას. მეორე ნაწილი დაეთმო იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მიერ მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების უზრუნველყოფის მნიშვნელობას და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ასევე წარდგენილ იქნა მოქალაქეთა უკუკავშირის ონლაინ პლატფორმა, რომელიც საპილოტედ შეიქმნა ვანის, ხონის, ხარაგაულის, სამტრედიის, ბაღდათის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებისთვის.

მუნიციპალიტეტებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების დონის ამაღლება სამიზნე ჯგუფების ინტერესების უკეთ გამოხატვისათვის; პროექტის ფარგლებში, სამიზნე მუნიციპალიტეტების სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი. ტრენინგის მოდულით გათვალისწინებული იყო ისეთი საკითხები როგორიცაა:

- მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები;
- მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში;
- მრჩეველთა საბჭოს როლი/ფუნქცია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში;
- პროგრამული საბიუჯეტო პროცესები და ეტაპები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი პრინციპები/უფლებამოსილებები;
- ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიულ სახელმწიფოში;
- მუნიციპალიტეტის ფინანსები.

აღნიშნულმა ტრენინგმა გააუმჯობესა ორგანიზაციის წარმომადგენლების უნარ-ჩვევები და ადგილობრივი ქსელური შესაძლებლობები, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მათ გაუმჯობესებულ კოორდინაციას, კომუნიკაციას ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მოქალაქეებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

მომზადდა 2D ანიმაციური ვიდეო რგოლი, რომლის შექმნის მიზანი გახლდათ, ერთის მხრივ, მოქალაქეთა და ადგილობრივ აქტორთა ცნობიერების ამაღლება მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ და მეორეს მხრივ, მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულების გაზრდა ადგილობრივ დონეზე.

საერთო ჯამში ჩატარდა ას ოცი (120) შეხვედრა იმერეთის მხარის სამიზნე მუნიციპალიტეტებში. ადგილზე განხორციელებულმა შეხვედრებმა და ონლაინ ჩართვებმა მოიცვა შვიდასამდე (700-მდე) ბენეფიციარი.

გამოკვეთილი საჭიროებები:

- განსახორციელებელ პროექტებზე მოსახლეობის ინფორმირება;
- სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე და აგრო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა;
- ბიზნეს განაცხადების წერის უნარების განვითარება;
- კვალიფიციური გიდების, აგრონომების ვეტექიმების გადამზადება და ამ პროფესიების წინა პლანზე წამოწევა;
- თაფლის ხარისხის განმსაზღვრელი სერთიფიცირების პროცესზე ხელმისაწვდომლობა;
- არსებული ფერმერების და ბიზნეს სუბიექტების წახალისება;
- ახალგაზრდების წახალისება და მათი ეკონომიკური განვითარების პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა;
- ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება;
- მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიურ საკითხებზე;
- მიუსაფარი ძაღლების საკითხი;
- სასმელი წყლის ვარგისიანობის შემოწმება;
- მოწყვლადი კატეგორიის და მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოზარდების სასწავლო პროცესში ჩართვა;
- მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერებაზე მიმართული პროგრამების დანერგვა;
- ადაპტირებული ინფრასტრუქტურა შშმ პირებისთვის;
- ფსიქოლოგის სერვისის ხელმისაწვდომობა;
- ხანდაზმულთა დღის ცენტრის არსებობა;
- სოციალური დაუცველის სტატუსის მინიჭების სისტემის დახვეწა.

შემუშავებული რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- არსებული პროგრამების გადახედვა და პირობების გაუმჯობესება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთან ერთად შემუშავდეს და დაინერგოს მოქალაქეთა

ინფორმირებულობის ახალი ფორმები იმ პროგრამების შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება;

- ხელი შეეწყოს ადგილზე სასოფლო – სამეურნეო ტექნიკის განახლებას.
- ადგილზე უზრუნველყოფილ იქნას პროგრამებში ჩართვის მსურველი პირების (ფერმერების) ხშირი კონსულტირება და დახმარება პროგრამაში მონაწილეობის პროცედურებთან და ტექნიკურ დეტალებთან დაკავშირებით.

აწარმოე საქართველოს:

- მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მოქალაქეთა უნარების გაძლიერებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბიზნეს განაცხადის წერა;
- მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობასთან კომუნიკაციის შედეგად გადაიხედოს და გაუმჯობესდეს არსებული პროგრამები, რათა გახდეს ისინი მოქალაქეების საჭიროებებსა (მინიმუმ რეგიონის) და შესაძლებლობებზე მორგებული;
- ხელი შეეწყოს პროგრამებში მონაწილეობის სურვილის მქონე მოქალაქეების ბიზნეს და კომპიუტერული უნარების გაძლიერებას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- ხელი შეეწყოს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს:

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება, ახალგაზრდების და ქალების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად;
- სხვა მიზნობრივ სახელმწიფო უწყებებთან ერთად იმსჯელოს და ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ დივერსიფიკაციას;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმები.
- ხელი შეუწყოს ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას.
- მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოკლევადიან პროფესიული განათლების პროგრამებზე (სამუშაო პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა, პროფესიული სწავლებისას ტრანსპორტირების დაფინანსება და სხვა).

„რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის მხარის განვითარების ინიციატივა“

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო 2020-2021 წლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის, ფაზა 2“ ფარგლებში, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობისა (ADC) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებდა გრანტს „რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის მხარის განვითარების ინიციატივა“, რომლის მიზანი იყო რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირება და საზოგადოების სხვადასხვა აქტორების ჩართულობის უზრუნველყოფა პოლიტიკის შემუშავების პროცესში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში.

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

ტურიზმის მენეჯმენტის საკითხებზე ონლაინ ტრენინგები ჩაუტარდათ რეგიონის მასშტაბით ტურიზმის სამსახურების თანამშრომლებს, ტურისტულ ოპერატორებს და საოჯახო სასტუმროების მფლობელებს. შედეგად გადამზადდა 100 ადამიანი. მომზადდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის საიმიჯო ვიდეო-რგოლი, რომელშიც ასახულია რეგიონის ღირსშესანიშნაობები და ტურისტული მარშრუტები.

ფორუმისა და რეგიონის ეკონომიკური განვითარების შესახებ მომზადდა გადაცემა „საქმიანი დილის“ ეთერში. სამეწარმეო-საინვესტიციო რეგიონული ფორუმი გაიმართა ქალაქ ონში. ფორუმის პირველი პანელი დაეთმო რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობების და კონკრეტული პროექტების წარდგენას, რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი მასშტაბური პროექტების განხილვას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის მიმზიდველობას პოტენციური ინვესტორებისთვის. მეორე პანელზე საუბარი შეეხო რეგიონში მცხოვრები მეწარმეების წინაშე არსებულ გამოწვევებს.

ფორუმის მეორე ნაწილი დაეთმო ფორუმში მონაწილე ადგილობრივი მეწარმეების/ფერმერების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვას, სადაც მეწარმეებმა მათთვის მომზადებულ ცალკე აგრო სივრცეში, წარადგინეს თავიანთი პროდუქცია.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით და ფერმერთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ფერმერული მეურნეობის მართვისა და ყურძნის ძველი ჯიშების აღდგენის შესაძლებლობების შესახებ ტრენინგი ჩაუტარდა ადგილობრივ 240 ფერმერს.

რეგიონისა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების მიზნით გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომლის ბიუჯეტიც თითოეული მუნიციპალიტეტისათვის შეადგენდა 7000 ლარს. სულ დაფინანსდა 5 ინიციატივა, რომელიც რეგიონში მეფუტკრეობის, მეღვინეობის, ლორის წარმოების მიმართულების გაძლიერებას

ისახავდა მიზნად. მეწარმეების საქმიანობის შესახებ მომზადდა მცირე ვიდეო-რგოლი.
სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ამ პროცესში ახალგაზრდების ჩართვის მიზნით 100 ადგილობრივი ახალგაზრდისათვის მოეწყო აგრო ტურები სხვადასხვა წარმატებულ მეურნეობაში.

ადგილობრივ მეწარმეთა/ფერმერთა/ბიზნესმენთა ინფორმირებულობის მიზნით ქალაქ ამბროლაურში შეიქმნა ადგილობრივი ბიზნესის საინფორმაციო ცენტრი, რომლის ფარგლებშიც გაცემულია 300-ზე მეტი კონსულტაცია.

საკუთარი უფლებების, მუნიციპალიტეტების ფუნქციებისა და ვალდებულებების, მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითრების (LED) ინიციატივების და მოქალაქეთა მონაწილეობის ინსტრუმენტების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

მოქალაქეთა მონაწილეობის ინსტრუმენტების, მათი უფლებებისა და მუნიციპალიტეტის ფუნქცია-ვალდებულებების შესახებ ტრენინგი ჩაუტარდა საჯარო მოხელეებს, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებსა და აქტიურ მოქალაქეებს. სულ გადამზადებულია 80 პირი. მოქალაქეთა დროული ინფორმირებისათვის ოთხივე მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შეიქმნა სმს პლატფორმა, რომელიც მოქალაქეებს მათივე ინტერესების შესაბამისად აწვდის სიახლეებს.

ოთხივე მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის მოხდა რეკომენდაციის გაცემა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების დებულებების შესწორების თაობაზე. ასევე გადამზადდნენ საბჭოს წევრები სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის საკითხებზე.

თანამშრომლობის გაძლიერებისათვის საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორს შორის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიზნით შემდეგი აქტივობები განხორციელდა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიზნით საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობისთვის შეიქმნა რეგიონული პლატფორმა. რეგიონული პლატფორმის ფარგლებში მოხდა იმ ინტერ-მუნიციპალური ინიციატივების განხილვა, რომელიც გამოიკვეთა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან შეხვედრებზე. შემუშავდა პროექტი, რომელიც ცაგერისა და ონისათვის რელიგიური ტურიზმის მარშრუტისა და რუკის შექმნას მოიცავს



მოგზაურობა – მეწარმე ახალგაზრდობის სოფლის ქსელების გაერთიანების ერთობლივი ორგანიზაცია

ერაზმუს + პროექტ ,,მოგზაურობის'' ფარგლებში გაიმართა ტრენინგების სერია "შესაძლებლობების განვითარების სემინარები მცირე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ბიზნეს იდეების განვითარების საკითხებზე" აზერბაიჯანში, უკრაინასა და საქართველოში. შედეგად მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია ფონდების მოძიების, სტრატეგიებისა და ევროკავშირის მიერ მეწარმეობის განვითარების პროგრამების შესახებ. დამატებით, იმსჯელეს თუ

რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირის პროგრამები ახალგაზრდებისთვის სამეწარმეო უნარების განვითარებისათვის. სემინარმა შესაძლებლობა მისცა მონაწილეებს გაეჟღერებინათ თავიანთი იდეები მეწარმეობის მიმართულებით და დაფიქრებულიყვნენ სამომავლო ნაბიჯებზე.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ, ასევე ჩაატარა მეწარმეთა შესაძლებლობების განვითარების სემინარი, იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ახალგაზრებისთვის.

სემინარებზე მსმენელებს, მიეწოდათ ინფორმაცია მეწარმეობის არსის, პრინციპების შესახებ, ასევე მონაწილეები გაეცვნენ ბიზნეს მოდელი კანვას პრინციპებს.

მენტორებმა ტრენინგზე ახალგაზრდებს პროექტის ფარგლებში მიღებული პოლონური და იტალიური გამოცდილება გაუზიარეს. გარდა ამისა, საუბარი შეეხო მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობასა და მეწარმეებისათვის არსებულ სამართლებრივ გარემოს, ბიზნეს იდეის შემუშავებისა და განვითარების საკითხებს (სტარტაპის ჩამოყალიბება/განვითარება, ფიჩინგი). მოუსმინეს ადგილობრივ მეწარმეს, რომელმაც ახალგაზრდებს თავისი გამოცდილება გაუზიარა. ტრენინგის ბოლოს მონაწილე ახალგაზრდებმა მათ მიერ შემუშავებული ბიზნეს მოდელის პრეზენტაცია გააკეთეს. ამ ტრენინგების მეშვეობით ახალგაზრდები ბევრად უფრო ინფორმირებული გახდნენ და მოიპოვეს პრაქტიკული უნარები თვითდასაქმებისთვის. საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად შექმნეს სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდა მეწარმეთა ქსელი, შეისწავლეს ევროკავშირის გამოცდილება და გაუზიარეს ის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებს.

ონლაინ ფორმატში ჩატარდა ოთხდღიანი ვირტუალური გაცვლითი ტურები იტალიასა და პოლონეთში. ახალგაზრდა მეწარმეები ვიდეო ტურის მეშვეობით გაეცვნენ პოლონელი მეწარმეების ოჯახის ბიზნესს, დაუსვეს შეკითხვები და მიიღეს პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე. მონაწილეების მიერ დასმული შეკითხვები შეეხებოდა კლიენტებს, ბიზნეს-მოდელს, პრომო და სარეკლამო რგოლს, სამთავრობო და სხვა მხარდაჭერას, ხარისხის განსაზღვრას და საერთაშორისო გამოცდილებას. მოეწყო ვირტუალური ვიზიტი იტალიაში, ზეითუნის ზეთის საწარმოში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ჯგუფურად, უცხოელ მონაწილეებთან ერთად, ემუშავათ ბიზნეს მოდელ CANVAS-ზე და მოეწყოთ პლენარული დისკუსია. ამ ვირტუალური ტურების საშუალებით მონაწილეებმა აღმოაჩინეს ახალი რესურსები და ინსტრუმენტები, როგორიცაა ევროპული EntreComp ჩარჩო, მეწარმეობის სამყაროში თვითდამკვიდრების მიზნით.

ორგანიზაციამ ახალგაზრდული სამეწარმეო კლუბის წევრებისათვის მოაწყო აგრო ტური ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტში წარმატებული მეწარმეების/ფერმერების მეურნეობაში.

აგრო ტურის ფარგლებში ახალგაზრდები ესტუმრნენ მინდია ქავთარაძის მეურნეობასა და ბაია აბულაძის მარანს, სადაც პრაქტიკული რჩევები მიიღეს მეწარმეებისაგან და გაეცნენ სასათბურე, ფერმერული მეურნეობის წამოწყებისა და გამართვის, ვაზის მოვლისა და ღვინის წარმოების ტექნოლოგიებს.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო ხუხუამ, მონაწილეობა მიიღო პროექტის ფინალურ საერთაშორისო კონფერენციაში.

კონფერენციაზე პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები იმ ძირითადი

აქტივობების შესახებ, რომლებიც განხორციელდა და ისაუბრეს იმ შედეგებზე, რომლებიც მიღწეულ იქნა პროექტის განხორციელების პერიოდში.
პროექტში ჩართულნი იყვნენ მეწარმეობის სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდები საქართველოდან, უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან, რომელთაც ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი სურვილები, გამოცდილება და ცოდნა გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის.
პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები, ტრენინგები, გამოკითხვები –თუ რა გამოწვევებს ხედავდნენ ახალგაზრდები თვითგამორკვევისა და ბიზნესის განვითარებაში, მოეწყო Youth Exchange ონლაინ სივრცეში, აგროტურები წარმატებულ მეწარმეებთან და ა.შ. კონფერენციაზე პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გაუზიარეს ერთმანეთს გამოწვევები, რომლებიც მათ შეექმნათ პროექტის განხორციელების პერიოდში. პროექტის ფარგლებში ამოქმედდა www.journeyeplus.eu ვებგვერდი, უნივერსალური სასწავლო პლატფორმა ახალგაზრდებისთვის, რომლის მიზანია სამეწარმეო პოტენციალისა და ცოდნის გაზრდა ახალგაზრდებში მეწარმეობის შესახებ. საიტი ფუნქციონირებს ოთხ ენაზე (ქართული, აზერბაიჯანული, ინგლისური, უკრაინული). შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ენა და მიიღოთ მონაწილეობა. პლატფორმა ადაპტირებულია მობილური მოწყობილობებისთვის/ტაბლეტებისთვის.
ეს პლატფორმა მასპინძლობს ონლაინ სასწავლო კურსებს ვიდეო შინაარსით, შემუშავებული იტალიის, პოლონეთისა და საფრანგეთის ექსპერტების მიერ, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამის ხარისხობრივად, სწრაფად და ეფექტურად დასრულებას, საჭირო ცოდნისა და უნარების მოპოვებას.
პლატფორმის მეშვეობით შესაძლებლობა გეძლევათ შეუერთდეთ ახალგაზრდა მეწარმეთა კლუბებს, რომლებიც მიზნად ისახავს მეწარმეობის სფეროში ცნობიერების ამაღლებას და სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების / ახალგაზრდა მეწარმეების ქსელის შექმნას. ასევე, შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია თვითდასაქმების შესაძლებლობების, სხვადასხვა სასწავლო ონლაინ კურსებისა და ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების შესახებ.



პროექტის მიზანი იყო უკრაინის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ახალგაზრდა მეწარმეების უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა; ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდა მეწარმეობის

მიმართულებით და ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად ახალგაზრდა მეწარმეების ქსელების შექმნა სოფლად; ევროკავშირის გამოცდილების შესწავლა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებისთვის გაზიარება. პროექტი დაფინანსებული იყო ევროკომისიის მიერ და განახორციელა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ თავის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად.

მოქალაქეთა უკუკავშირის ონლაინ პლატფორმა

მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი საკითხების მართვაში დემოკრატიული მმართველობის ძირითადი პრინციპია. წარმომადგენლობით დემოკრატიას ახასიათებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ფართო ჩართულობა საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რომლის დროსაც ხელისუფლების თითოეული შტო ვალდებულია, იქონიოს და განავითაროს საზოგადოებრივი ჩართულობის მექანიზმები.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო აქტიურად განაგრძობს მუშაობას ადგილობრივ თვითმმართველობასთან ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მრავალი წელია ჩართულია მოსახლეობის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების ადვოკატირების პროცესში იმერეთის რეგიონში.

მოქალაქეების ჩართულობისა და გააქტიურების, ისევე როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესზე პასუხისმგებელი ადგილობრივი საჯარო მოხელეების არასაკმარისი შესაძლებლობების თავიდან აცილების შედეგად გაეროს განვითარების პროგრამის (დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში) მხარდაჭერით, ორგანიზაციამ იმერეთის რეგიონის ექვსი (6) მუნიციპალიტეტის (ბაღდათი, სამტრედია, ვანი, ხონი, წყალტუბო, ხარაგაული) ოფიციალურ ვებგვერდზე დანერგა მოქალაქეთა უკუკავშირის ონლაინ პლატფორმა. ადგილობრივი ხელისუფლება კომუნიკაციის აღნიშნულ ფორმას, რომელიც მოითხოვს შედარებით ნაკლებ ადამიანურ რესურსს გამოიყენებს მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობის გასაზომად.

ონლაინ პლატფორმის შექმნის მიზანი გახლავთ შეფასდეს

დაკავშირებით.
მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტიანობაზე. სწორედ ამიტომ, პროექტის საწყის ეტაპზე ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან არსებული პასუხისმგებლობის გაზიარების, პლატფორმის გაძლიერების და პრაქტიკაში განხორციელების პროცესში მათი აქტიურად ჩართვის მიზნით, მოეწყო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან, სადაც განხილული იქნა მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმის ფუნქციები და შესაძლებლობები.

მოქალაქეების მხრიდან მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სერვისები/პროგრამები. პლატფორმა კარგი შესაძლებლობაა იმისა, რომ მუნიციპალიტეტში მხოვრებმა, რომელმაც უკვე ისარგებლა მუნიციპალიტეტის კონკრეტული პროგრამებით/სერვისით, დააფიქსიროს ელექტრონულად საკუთარი მოსაზრება გაწეული სერვისისა, თუ პროგრამის სარგებლიანობაზე. მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს საშუალებას აძლევს შეაფასონ სოციალური, ახალგაზრდული და ინფრასტრუქტურული პროგრამები. ასევე, პლატფორმა ადგილობრივ მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას მოახდინონ მათ მუნიციპალიტეტებში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება და მიუთითონ თავიანთი მოსაზრება/რეკომენდაცია აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზებთან

მომზადდა მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმის განხორციელების წესი, რომელიც დამტკიცდა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით. ასევე, მერის ბრძანებით განისაზღვრა იმ პირთა წრე, ვინც უზრუნველყოფს პლატფორმის ეფექტურად ფუნქციონირებას.

მოქალაქეთა ინფორმაციის მიწოდების და პლატფორმის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ექვსივე მუნიციპალიტეტის სამ-სამ ადმინისტრაციულ ერთეულში. შეხვედრების მიზანი იყო პლატფორმის იდეისა და მიზნის გაცნობა.

შემუშავდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტის

დიზაინი, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი პლატფორმის გამოყენების ეტაპები.

ტექნიკური დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტების IT სპეციალისტებს. ტექნიკური მხარდაჭერის შედეგად პლატფორმის არსებული ვერსია პრაქტიკაში უკეთ დაინერგა. გამოყენებული იქნა პლატფორმის სხვა რესურსები და პროგრამას დაემატა ახალი მუნიციპალური პროგრამები.

გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია მუნიციპალიტეტებიდან 2022 წლის სოციალური, ახალგაზრდული და ინფრასტრუქტურული პროგრამების შესახებ, ასევე შემუშავდა ახალი ახალგაზრდული და ინფრასტრუქტურული პროგრამების შესაფასებლად უნივერსალური კითხვარი, რომელიც ინტეგრირდა მუნიციპალიტეტების ვებგვერდებზე.

გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, თითოეული მუნიციპალიტეტისთვის მომზადდა ელექტრონული ინფოგრაფიკი, სადაც მოქალაქეების მიერ დასახელებული ყველაზე პრიორიტეტული საჭიროებები წარმოდგენილია როგორც დიაგრამებით, ასევე რაოდენობრივ დონეზე. აღნიშნული ინფორმაცია წინასაბიუჯეტო პერიოდში მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს სწორად განსაზღვრონ და დაგეგმონ მომავალი წლის ბიუჯეტი.

სხვადასხვა სახის აქტივობები

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში კელი დეგნანთან.
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, ნინო ხუხუა, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში კელი დეგნანს შეხვდა. აღნიშნული შეხვედრით ელჩმა დაასრულა ჩვენს ქვეყანაში 2022 წლის მოგზურობების ციკლი, რომელიც მიეძღვნა საქართველო-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავს.
ასევე, შეხვედრას ესწრებოდნენ იმერეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. შეხვედრაზე ისაუბრეს იმერეთის რეგიონის საჭიროებებსა და თანამშრომლობის გაგრძელების გეგმებზე.

ღია მმართველობის პარტნიორობის-OGP პროგრამა

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia) გახდა ,,ღია მმართველობის პარტნიორობის'' ლოკალური პროგრამის (OGP Local) წევრი.

,,ციფრული ხელსაწყოები აქტიური მოქალაქეებისთვის''

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ კვლევის „ციფრული ხელსაწყოები აქტიური მოქალაქეებისთვის“ შედეგების პრეზენტაცია გამართა, რომელსაც ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კვლევა მიზნად ისახავდა იმის

დადგენას თუ როგორ იყენებენ შავი ზღვის რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ციფრულ ინსტრუმენტებს მათი მისიის განსახორციელებლად, მათი რესურსების მართვისა (ადამიანური, ფინანსური და ა.შ.) და დონორებისა და ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, როგორც COVID-19 პანდემიის დაწყებამდე, ასევე მის განმავლობაში.

კვლევის თანახმად, შავი ზღვის რეგიონში მოქმედი ორგანიზაციები განიცდიან:

- არასაკმარის მედია და ციფრული უნარების ქონას;
- რესურსებისა და დაფინანსების ნაკლებობას ონლაინ სამოქალაქო აქტივობებისთვის;
- ცოდნის ნაკლებობას, თუ როგორ ხდება ადვოკატირება და მონაწილეობა ონლაინ სივრცეში;
- ინტერნეტზე წვდომის ნაკლებობას (დაფარვა, ხარისხი, ღირებულება);
- ციფრული აქტივიზმის გავლენისადმი ნდობის ნაკლებობას;
- ტექნოლოგიებზე წვდომის ნაკლებობას.

კვლევა განხორციელდა ოთხ ქვეყანაში: რუმინეთი, საქართველო, უკრაინა, სომხეთი, რუმინეთის NGDO პლატფორმის – FOND მიერ განხორციელებული პროექტის ”შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმი: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარება რეგიონული თანამშრომლობისთვის შავი ზღვის რეგიონში” პროექტის ქვეგრანტის ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

ახალგაზრდული გაცვლითი პროექტი ''YOU.TH'' იტალიაში

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ახალგაზრდული გუნდი Erasmus+ ის დაფინანსებული პროექტის ''YOU.YH'' ფარგლებში იტალიაში, ქალაქ მორფასოში იმყოფებოდა.
პროექტი ''YOU.TH'' მიზნად ისახავდა ახალგაზრდული მუშაკების აღჭურვას მეთოდოლოგიებითა და პრაქტიკით, რომლებიც ძირითადად გამოიყენება თეატრის სფეროში და შეიძლება გამოყენებულ იქნას არაფორმალურ განათლებაში ინკლუზიური აქტივობების განსახორციელებლად.
გაცვლით პროგრამაში საქართველოდან ჩართული იყო ოთხი ახალგაზრდა. ასევე, პროექტში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდებმა შვიდი სხვადასხვა ქვეყნიდან (იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, უკრაინა, სომხეთი, იორდანია, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა). საერთო ჯამში, პროექტმა 34 ახალგაზრდა ერთად შეკრიბა იტალიაში(მორფასოში), რომლებსაც შვიდი დღის განმავლობაში ჩაუტარდათ ტრენინგ-კურსი.

ღია კარის დღე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ (LDA Georgia) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდებისთვის გამართა ღია კარის დღე. შეხვედრაზე სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ ინფორმაცია: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს საქმიანობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების შესახებ; ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული სტაჟირების პროგრამის შესახებ; ჰქონდათ შესაძლებლობა მოესმინათ გაცვლითი პროგრამის მონაწილეებისთვის, რომლებიც იმყოფებოდნენ იტალიაში ''YOU.TH'' პროგრამის ფარგლებში.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ახალგაზრდული კლუბი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს, ახალგაზრდულმა კლუბმა საქმიანობა ახალ წევრებთან ერთად განაახლა. ახალგაზრდული კლუბის წევრები მათი გამოცდილებისა და მოტივაციის საფუძველზე შეირჩნენ. საკოორდინაციო შეხვედრაზე, ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა – ნინო ხუხუამ კლუბის საქმიანობაზე, განხორციელებული პროექტებისა და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ისაუბრა. მონაწილეებმა კი, თავის მხრივ, თავიანთი მოტივაცია და მოლოდინები გაუზიარეს ერთმანეთს. 2023 წლიდან კლუბის წევრები აქტიურად ჩაერთვებიან მოხალისეობრივ აქტივობებში, ტრენინგებსა და სხვადასხვა სოციალურ კამპანიაში. ახალგაზრდული კლუბი 2016 წელს შეიქმნა. 2016 წლიდან მოყოლებული კლუბის წევრებს უკვე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი აქვს განხორციელებული.

საერთაშორისო ფორუმი ,,ქალაქების პასუხი თანამედროვე გამოწვევებზე''

LDA საქართველომ მონაწილეობა მიიღო ქუთაისის მეორე საერთაშორისო ფორუმზე „ქალაქების პასუხი თანამედროვე გამოწვევებზე".

ფორუმზე ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა - ნინო ხუხუამ ისაუბრა მუნიციპალიტეტების ეკონომიკური სტიმულირებისა და კარგი მმართველობის შექმნის პროცესში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლზე. მან კარგი პრაქტიკების გაზიარების მიზნით მიმოიხილა უახლოეს წარსულში ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები, რომლის ფარგლებშიც კარგი მმართველობის ხელშეწყობისთვის შეიქმნა SMS ონლაინ პლატფორმები, შემუშავდა საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტები და საინვესტიციო პროფილები, მოეწყო სამეწარმეო-საინვესტიციო რეგიონული ფორუმი და და ა.შ.

ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის მუნიციპალიტეტის პარტნიორმა ქალაქებმა და რეგიონებმა; ქალაქებმა აღმოსავლეთ პარტნიორობიდან და დასავლეთ ევროპიდან; სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ფორუმის ორგანიზატორი გახლდათ ქუთაისის მუნიციპალიტეტი; თანაორგანიზატორი -ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: USAID-ის პროგრამა „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა"; გერმანიის საერთაშორისო დახმარების პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში"; პარტნიორი ორგანიზაციები: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაცია (NALAG).

საანგარიშო პერიოდი: 2021 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიში მოიცავს 2021 -2022 წლის 1 იანვრიდან -31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. ამ ხნის განმავლობაში, გრანტის, სახით მიღებულია ჯამში 421 557,25 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

#	დონორი ორგანიზაციის დასახელება	თანხა ლარში 2021	თანხა ლარში 2022
1.	EU/KAS	56 993.30	64 477,28
2.	ALDA/Membership fees	11 177.01	11 454,75
3.	UNDP	154 663.06	50 343,26
4.	EU/AYEG	44 520.22	-
5.	EU/Vinnitsa Regional Association o Local Self-Government Bodies	27 928.37	-
	ჯამური თანხა	295 281.96	126 275,29

LDA GEORGIA

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲐᲰᲘᲜᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

MEET OUR TEAM

Nino Khukhua
Executive Director

Tamar Kitovani
Project Assistant

Tamuna Akhobadze
Office Manager

David Saralidze
Financial Manager

Maia Giorgadze
Intern

www.ldageorgia.ge

SCAN ME

საკონტაქტო ინფორმაცია:
მის: ქ.ქუთაისი, წერეთლის ქუჩა N111; 4600
ტელ: (0431) 24 24 02
ელ-ფოსტა: ldageorgiakutaisi@gmail.com
ოფიციალური ვებ გვერდი: https://ldageorgia.ge/
სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/LDAGeorgia